სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52329273599423

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230342568

რეგისტრაციის თარიღი

17.03.2023 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას **ოცდასამი** წლის **ჩვიდმეტ მარტს**, მე, საქართველოს ნოტარიუსს **ეკატერინე ძულიაშვილს** სანოტარო ბიუროში, მდებარე: **ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში**, მომმართა მოქალაქე **დავით ბეგიაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის სს **„ლილო 1"-ის** დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად **დავით ბეგიაშვილმა** /დაბ. **30.07.1980** წელს, მის. **თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. № 32, ბინა 99**, პ№ **01024019168**/ მომმართა.

შევამოწმე **დავით ბეგიაშვილის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის სს **„ლილო 1"-ის** დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22107691**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **20.09.2022**, საიდენტიფიკაციო ნომერი: **206268741.**

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

მე, სს **„ლილო 1"-ის** დირექტორი **დავით ბეგიაშვილი** უფლებამოსილებას ვანიჭებ **ნიკოლოზ ჩხაიძეს** (პ№ **01024024996**) მასზედ რომ, იგი უფლებამოსილია იყოს სს **„ლილო 1"-ის** (ს/კ: **206268741**) წარმომადგენელი კომპეტენტურ ორგანიზაცია-დაწესებულებებში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ნებისმიერ (კერძო და საჯარო) მათ შორის სსიპ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საკრებულოში, გამგეობაში, სანოტარო ბიუროებში, არქივებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში) **ქ. თბილისში, იუმაშევის ქუჩა № 14-ში** მდებარე მიწის ნაკვეთზე (**ს.კ. 01.19.26.006.010**) ასაშენებელი ახალი სასაწყობე შენობის პროექტის შესათანხმებლად და შესაბამისი თამხმობის მოპოვების მიზნით. ასევე მინდობილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება რაც აუცილებელი იქნება ზემოხსენებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, (კომუნიკაციების შეყვანა, აბონენტად დარეგისტრირება, აბონენტის ცვლილება, კომუნალური მომსახურების მიღება) მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. იყოს სს ლილო 1-ის წარმომადგენელი ნებისმიერ საჯარო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებასთან, ნებისმიერ საკომუნიკაციო დაწესებულებასთან, (სს თელასთან , შპს თელმიკოსთან , შპს ყასტრანსგაზ თბილისთან , „თბილისი ენერჯისთან", „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან", შპს „თბილსერვის ჯგუფთან", დასუფთავების სამსახურთან და სხვა ნებისმიერ შესაბამის სამსახურთან), მიმნდობის სახელით შეიტანოს ან/და გამოითხოვოს ნებისმიერი საჭირო დოკუმენტაცია/განცხადება/ნახაზი/გეგმა და სხვა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან, არქივებიდან, არქიტექტურის სამსახურიდან და სხვა ნებისმიერ კერძო თუ საჯარო ორგანიზაცია-დაწესებულებიდან. მოაწეროს ხელი ნებისმიერ განცხადებას/დოკუმენტს/საბუთს მიმნდობის ნაცვლად.

მინდობილობა გაცემულია **ორიათას ოცდაოთხი წლის ჩვიდმეტი მარტის ჩათვლით.**

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი მიეცა **მიმნდობს.**

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის;

1. სს **„ლილო 1"-ის** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22107691**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **20.09.2022**;

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის **30.00** ლარი თანახმად **„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"** საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **31** მუხლისა + დღგ **5.40** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის **166** მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5.00** ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **39** მუხლისა, სულ გადახდილია **40.40** ლარი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/